მიღება-ჩაბარების აქტი №1

6 ნოემბერი 2015 წელი **ქ. თბილისი**

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, მისი უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი ი. ვარდოშვილის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „აჭარა +“ მისი გენ. დირექტორის ვ. ჩეხერიას სახით, (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი“) ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო 5 და 6 ნოემბერს სასტუმრო „Holidey Inn”-ში “მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, საერთაშორისო ფინანსური შესაძლებლობებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის” მიზნით ჩატარებულ სამუშაო შეხვედრის მონაწილეთა კვებით გამასპინძლების (კოფე ბრეიქი 4 ჯერადად) მომსახურება 100 პერსონაზე, ღირებულებით 6372.0 ლარი.

(საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №41.26.1202 განკარგულება).

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური
პოლიტიკის საქალაქო სამსახური
მის: შარტავას №7
სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 204521794

მიმწოდებელი:

შპს „აჭარა +“
26 მაისის მ. №1
ს/კოდი: 205090890
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა GE45BG0000000886056200

ი. ვარდოშვილი

ბ.ა

ვ. ჩეხერია

ბ.ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 41.26.1202

"13" ოქტომბერი 2015 წ.

ევროკავშირის ეგიდით და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, საერთაშორისო ფინანსური შესაძლებლობებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 2015 წლის 5-6 ნოემბერს გეგმავს ევროკავშირის ეგიდით და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, საერთაშორისო ფინანსური შესაძლებლობებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში რეკონსტრუქციისა და გავითარების ბანკის აღმასრულებელი კომიტეტის და საერთშორისო სავაჭრო პალატის, ბიზნესის განვითარების სექტორის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ტრანსპორტის, სადაზღვეო და იურიდიული კომპანიების წარმომადგენლებს შორის სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.თ", ,,ე.ი" და „ე.კ" ქვეპუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბერის №18-57 დადგენილების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ევროკავშირის ეგიდით და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, „მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, საერთაშორისო ფინანსური შესაძლებლობებისა და ვაჭრობის ხელშეწყობის" მიზნით სამუშაო შეხვედრის ჩატარება.

2. აღნიშნული ღონისძიების უზრუნველსაყოფად საკონფერენციო დარბაზის დაქირავებისა და კვებით გამასპინძლების ხარჯი, 26 000 (ოცდაექვსი ათასი) ლარის ოდენობით, გაწეული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროგრამიდან „თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში" (კოდი: 4.4).

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი).

განკარგულება, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ნარმანია

7-3/237
22 10 15

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202